

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საკრედიტო ხელშეკრულების (შემდგომში „საკრედიტო ხელშეკრულება“ ან „ხელშეკრულება“) სპეციფიკური პირობების (შემდგომში „სპეციფიკური პირობები“ ან „საკრედიტო ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები“) მოქმედება ვრცელდება სს „ბაზისბანკსა“ (შემდგომში „ბანკი“) და ბანკის კლიენტ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს¹ (შემდგომში „კლიენტი“ ან „მსესხებელი“) შორის წერილობითი ფორმით ან ბანკის მომსახურების დისტანციური მომსახურების არხით გაფორმებული ყველა იმ საკრედიტო ხელშეკრულებების მიმართ, რომლის ძირითადი პირობები (შემდგომში „ძირითადი პირობები“ ან „საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობები“) მითითებას აკეთებს წინამდებარე სპეციფიკურ პირობებზე და განსაზღვრავს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

1.2. საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობები განსაზღვრავს საკრედიტო ურთიერთობის კონკრეტულ, არსებით პირობებს (კრედიტის მოცულობა, ვადა, საპროცენტო სარგებელი, კრედიტის გამოთხოვისა და საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები და ა.შ), ხოლო სპეციფიკური პირობები აზუსტებს მათ და არეგულირებს მხარეთა საკრედიტო ურთიერთობის ყველა იმ საკითხს, რაც განსაზღვრული არ არის ძირითადი პირობებით. ძირითად პირობებს (მათ შორის, მის დანართ(ებ)ს) და სპეციფიკურ პირობებს შორის არსებითი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ძირითად პირობებსა და მის დანართებს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ სპეციფიკური პირობები აზუსტებს ძირითადი პირობებით განსაზღვრულ საკითხებს.

1.3. ძირითადი პირობები (მისი ყველა დანართი) და სპეციფიკური პირობები ერთობლიობაში ქმნიან საკრედიტო ხელშეკრულებას, სავალდებულოა შესასრულებლად და ვრცელდება ბანკის ყველა იმ მსესხებლის/თანამსესხებლის მიმართ, ვინც სარგებლობს ბანკის საკრედიტო პროდუქტ(ებ)ით.

1.4. თუ საკრედიტო ხელშეკრულება გაფორმებულია ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული „კრედიტებითა და გარანტიებით მომსახურების შესახებ“ გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში „გენერალური ხელშეკრულება“) ფარგლებში, აღნიშნულის შესახებ მითითებული იქნება ძირითად პირობებში და საკრედიტო ხელშეკრულების მიმართ გავრცელდება გენერალური ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 2. კრედიტის გაცემისა და დაბრუნების პირობები

2.1. თუ ძირითადი პირობებით და/ან მისი დანართ(ებ)ით სხვა რამ არ არის განსაზღვრული:

2.1.1. ბანკს კრედიტის (ტრანშის) გაცემის ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მარეგისტრირებელ ორგანოში დასრულდება საკრედიტო/გენერალური ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულების რეგისტრაცია (იგულისხმება ისეთი ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სათანადო ორგანოში) და შესრულდება კრედიტის გაცემისათვის ბანკის მიერ დადგენილი ყველა წინაპირობა. აღნიშნულის მიუხედავად, ბანკის გადაწყვეტილების შემთხვევაში, კრედიტი შესაძლებელია გაიცეს ბანკის მიერ განსაზღვრული წინაპირობების შესრულებამდე.

2.1.2. კრედიტზე სარგებლის დარიცხვა მიმდინარეობს ყოველდღიურად, ამასთან დღეების რაოდენობა განისაზღვრება თვეში 30 დღით.

2.1.3. გადახდილი თანხ(ებ)ით, მსესხებლის დავალიანება ბანკის მიმართ დაიფარება შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში სადაზღვევო პრემია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ პირგასამტეხლო/საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ კრედიტის ძირითად თანხაზე დარიცხული სარგებელი, შემდეგ კრედიტის ძირითადი თანხა.

2.1.4. როდესაც მსესხებელი სარგებლობს სესხის დაფარვის საშეღავათო პერიოდით კრედიტის ძირითად თანხაზე და დარიცხულ პროცენტზე, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტზე სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. ამასთან, გრაფიკით განსაზღვრული შენატანები მოიცავს საშეღავათო პერიოდში დარიცხულ სარგებელსაც (შესაბამისი პროპორციით). მსესხებლის მიერ კრედიტის სრულად, ან ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის/შემცირების, ან რეფინანსირების შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია, პირველ რიგში დაფაროს საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სარგებელი სრულად.

2.1.5. ბანკში მსესხებლის ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობისას, როდესაც მსესხებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, მსესხებელი უფლებამოსილია, სს „ბაზისბანკის“ სერვისცენტრში წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე, თავად განსაზღვროს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა. მსესხებლის განცხადების არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება შემდეგი რიგითობით: პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებაში მყოფი არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადაგადაცილებაში მყოფი უზრუნველყოფილი ვალდებულებები, შემდეგ ვადამოსული არაუზრუნველყოფილი ვალდებულებები და ბოლოს ვადამოსული უზრუნველყოფილი ვალდებულებები; ამასთან, ერთი

¹ იგულისხმება ასევე ყველა თანამსესხებელი, რომელიც სოლიდარულადაა პასუხისმგებელი/ვალდებული ბანკის მიმართ არსებული საკრედიტო ვალდებულებების შესრულებაზე.

და იმავე კატეგორიის ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება დაფარვის მომენტში არსებული ვალდებულების ძირითანხის ნაშთის კლებადობით, უდიდესიდან უმცირესისკენ.

2.2. მსესხებელი ვალდებულია, კრედიტის ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული სარგებელი გადაიხადოს იმავე ვალუტით, რითაც გაცემულია კრედიტი, მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (შემდგომში **“გრაფიკი”**) შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს საკრედიტო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.2.1. გრაფიკის შესრულებად ითვლება, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადახდის დღეს, მსესხებლის ანგარიშზე გრაფიკით გათვალისწინებული თანხის არსებობა და ამავდროულად ანგარიშზე შეზღუდვის (საინკასო დავალება, ყადაღა და ა.შ.) არარსებობა. თუ ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

2.2.2. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია, გრაფიკი შეიცვალოს (მათ შორის, ავტომატურად, ბანკის მიერ ცალმხრივად, მსესხებლისთვის წინასწარი შეტყობინებისა და მისი თანხმობის გარეშე). შეცვლილი/განახლებული გრაფიკი განთავსდება ბანკის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ში (ინტერნეტ ბანკი, მობაილ ბანკი), გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა და მსესხებელი ვალდებულია, გადახდები განაგრძოს შესაბამისი გრაფიკით. ამასთანავე, მსესხებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ბანკისგან განახლებული (მიმდინარე) გრაფიკი მატერიალური ფორმით.

2.2.3. თუ საკრედიტო ხელშეკრულებას არ ერთვის გადახდის გრაფიკი, მსესხებელი ვალდებულია, კრედიტის ძირითადი თანხა გადაიხადოს კრედიტის ვადის ბოლოს, ხოლო მასზე დარიცხული სარგებელი გადაიხადოს კრედიტის გაცემიდან ყოველ 30-ე დღეს, თუ ეს დღე არ აღემატება კრედიტის ვადას, ხოლო თუ აღემატება, მაშინ გადახდა განხორციელდეს კრედიტის ვადის ბოლოს.

2.3. მხარეები დამატებით თანხმდებიან და მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ ბანკის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსესხებლის ვალდებულებების შესრულება მიიღოს მესამე პირის მხრიდან.

2.4. მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს და თანახმაა, რომ ბანკში არსებული მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან ბანკმა უაქცეპტო წესით ჩამოწეროს:

2.4.1. მსესხებლის მიმდინარე/ვადამოსული ვალდებულებების (მათ შორის, კრედიტის ძირითადი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი, პირგასამტეხლო, ჯარიმა, საკომისიო), ასევე, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვალდებულებათა ვადამდე დასაფარად საკმარისი თანხები (საჭიროებისას მოახდინოს თანხის კონვერტაცია ბანკში დადგენილი კურსით) და მიმართოს ისინი მსესხებლის შესაბამისი ვალდებულებების დასაფარად;

2.4.2. საკრედიტო ხელშეკრულების, ან/და მის უზრუნველსაყოფად გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ის დამოწმების (მათ შორის, ნოტარიუსის მიერ) საფასურის შესაბამისი თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), საჭიროებისას, მოახდინოს თანხის კონვერტაცია შესაბამის ვალუტაში, ბანკში დადგენილი კურსით და მიმართოს დამოწმების საფასურის გადასახდელად;

2.4.3. მსესხებლის სადაზღვევო პრემიის თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიის) სასარგებლოდ, საჭიროებისას მოახდინოს თანხის კონვერტაცია შესაბამის ვალუტაში, ბანკში დადგენილი კურსით და მიმართოს სადაზღვევო პრემიის დასაფარავად, მსესხებლის ხარჯზე.

2.5. კრედიტს არ ერიცხება პირგასამტეხლო, თუ თანხის შეტანის (გადახდის) თარიღი დაემთხვევა დასვენების/უქმე დღეს. ამ შემთხვევაში მსესხებელი ვალდებულია გადასახდელი თანხა შესაბამის ანგარიშზე შეიტანოს (გადაიხადოს) მომდევნო სამუშაო დღეს.

2.6. მხარეები თანხმდებიან, რომ, თუ საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობების თანახმად, ბანკის მიერ კრედიტის გაცემა და მსესხებლის მიერ მისი ათვისება ხორციელდება რამოდენიმე ეტაპად - ტრანშებად (ტრანში ეწოდება ბანკის მიერ მსესხებლისათვის მობილიზებული საკრედიტო რესურსის ნაწილს, რომლის დაშვება (გაცემა) ხდება მხარეთა შეთანხმებით, მსესხებლის კონკრეტული განაცხადის საფუძველზე, ან ბანკის გადაწყვეტილებით), კრედიტის ათვისებასთან და დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები დამატებით რეგულირდება წინამდებარე პუნქტით დადგენილი პირობები (თუ ძირითადი პირობებით სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული):

2.6.1. საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში გასაცემი ტრანშების საერთო ჯამი არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის თანხას (მთლიან მოცულობას). თუ მსესხებლის მიერ მოთხოვნილი თანხა, მთლიანად, ან ჯამურად სხვა ტრანშებთან ერთად, აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კრედიტის მოცულობას, ბანკს უფლება აქვს, ცალმხრივად დააკორექტიროს მსესხებლის მოთხოვნა/განაცხადი და თანხა გასცეს დაშვებული ლიმიტის ფარგლებში;

2.6.2. კრედიტზე დარიცხული სარგებლის ათვლა დაიწყება მსესხებლის სასესხო ანგარიშზე შესაბამისი ტრანშის ჩარიცხვის დღიდან; სარგებლის დარიცხვა ხდება არსებულ დავალიანებაზე;

2.6.3. ბანკი უფლებამოსილია, თავად განსაზღვროს მსესხებლის მიერ კრედიტის გაცემის საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის წესი, კერძოდ, მოითხოვოს საკომისიოს გადახდა და მიიღოს ერთიანად, პირველი ტრანშის გაცემისთანავე ან ეტაპობრივად, ყოველი ტრანშის დაშვებისას (შესაბამისი პროპორციით).

2.6.4. თითოეული ტრანშის გაცემისთანავე ხდება გრაფიკის კორექტირება, თანხმდება გადახდის ახალი გრაფიკი და თითოეული ტრანშის შედეგად ათვისებული თანხის დაბრუნება რეგულირდება ერთიანი გრაფიკით. მსესხებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს ბანკისგან განახლებული (მიმდინარე) გრაფიკი;

2.6.5. ყოველი ტრანშის გაცემა დამოკიდებულია ბანკის ნებაზე; ბანკს უფლება აქვს, ადარ დაუშვას მსესხებლის დაფინანსება და შეწყვიტოს ტრანშების გაცემა, თუ ბანკის შეფასებით, ადგილი ექნება ტრანშის გაცემის შემაფერხებელ ერთ-ერთ ან რამდენიმე გარემოებას, მათ შორის (და არა მხოლოდ): საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტისა და

კრედიტის გამოთხოვის წინაპირობების არსებობას; მესხებლის მიერ წინა ტრანშის არამიზნობრივად გამოყენებას და/ან ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებას; საკრედიტო რისკის ზრდას, ან უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარვეზის არსებობისას (რაც საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეუშლიდა ბანკის მიერ შესაბამისი უზრუნველყოფის ობიექტ(ებ)ის ხარჯზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას), საკრედიტო ხელშეკრულებით და/ან მის ფარგლებში მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი შეთანხმებ(ებ)ით გათვალისწინებულ სხვა გარემოებას;

2.6.6. ტრანშის შედეგად ათვისებული თანხის ვადამდე დაფარვის მიუხედავად, არ ხდება კრედიტის განახლება და ტრანშის ხელახლა დაშვება;

2.6.7. კრედიტის ძირითადი თანხის (მოლიანი მოცულობის) და მასთან დაკავშირებული სხვა გადასახდელების სრულად დაფარვა ხდება კრედიტის ვადის ბოლოს, მიუხედავად ტრანშის დაშვების თარიღისა;

2.7. საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი პირობების მიუხედავად, ბანკის მიერ არ მოხდება წინსწრებით დაფარვის/რეფინანსირების საკომისიოს დაკისრება შემდეგ შემთხვევებში: (ა) თუ საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი; (ბ) თუ კრედიტის მოლიანად ან ნაწილობრივ რეფინანსირებისა ხდება სს “ბაზიზბანკის” მიერ; (გ) თუ კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება სს “ბაზიზბანკის” მოთხოვნით, საკრედიტო ხელშეკრულებაში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის ან/და უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე(ებ)ის მხრიდან დაუთანხმებლობის/უარის შემთხვევაში (აღნიშნული პირობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით გაუქმდა არსებული ინდექსი და ხდება ინდექსის ჩანაცვლება); (დ) თუ კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება სს “ბაზიზბანკის” მოთხოვნის საფუძველზე; (ე) თუ კრედიტი იფარება კრედიტის დაფარვის უზრუნველსაყოფად დადებული დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში.

2.8. კრედიტის ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვა/შემცირება ან რეფინანსირება ხდება შემდეგი წესით:

2.8.1. მსესხებელი აკეთებს განცხადებას წერილობით ან ბანკის მომსახურების დისტანციური არხის (ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი) საშუალებით, ვალდებულების ვადაზე ადრე (წინსწრებით) დაფარვის/შემცირების ან რეფინანსირების თაობაზე და განათავსებს ფულად სახსრებს ბანკში არსებულ შესაბამის ანგარიშზე.

2.8.2. სესხის დასაფარად/შესამცირებლად ან რეფინანსირებისთვის საკმარისი თანხის მსესხებლის შესაბამის ანგარიშზე სრულად არსებობის შემთხვევაში (ამავდროულად, ანგარიშზე არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის შეზღუდვა, მათ შორის, საინკასო დავალება, ყადაღა და ა.შ), მსესხებლის მოთხოვნის შესრულება ხდება ბანკის მიერ განცხადების მიღების დღესვე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას.

2.8.3. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით კრედიტის დაფარვა საჭიროებს გარკვეულ ვადას, ბანკი ახდენს მსესხებლის განცხადების განხილვას მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, განაცხადის განხილვის პერიოდში ბანკის მიერ კრედიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ ხორციელდება.

2.8.4. თუ კრედიტის თანხა აღემატება 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, მსესხებელი ვალდებულია, უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით დადგენილი ფორმით ბანკისთვის წინასწარი შეტყობინების მიწოდება, კრედიტის წინსწრებით დაფარვამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე.

2.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ანგარიშზე კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხის არსებობის მიუხედავად, ავტომატურად არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა, გარდა საკრედიტო ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.10. კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, თუმცა არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარის (ეკვივალენტი კრედიტის ვალუტაში) ოდენობით, მსესხებელი უფლებამოსილია, მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში ბანკი ვალდებულია, განახორციელოს გრაფიკის ცვლილება ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით:

2.10.1. ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შემცირების გზით; ან

2.10.2. კრედიტის დაფარვისთვის დარჩენილი ვადის შემცირება, თავდაპირველი გრაფიკით განსაზღვრული ყოველთვიური შენატანების შენარჩუნების გზით.

2.11. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ ისარგებლებს სპეციფიკური პირობების “2.10.” პუნქტით მინიჭებული უფლებით, ან თუ წინსწრებით შემცირებული თანხის ოდენობა ნაკლებია 500 (ხუთასი) ლარზე (ეკვივალენტი კრედიტის ვალუტაში), მსესხებელი ვალდებულია, წინსწრებით თანხის გადახდის მიუხედავად, განაგრძოს ბანკისთვის თანხების გადახდა არსებული გრაფიკის მიხედვით.

მუხლი 3. მხარეთა დამატებითი უფლებები და ვალდებულებები; დაზღვევა

3.1. ბანკი უფლებამოსილია:

3.1.1. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, აკონტროლოს მსესხებლის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა, კრედიტის მიზნობრივი გამოყენება და უზრუნველყოფაში არსებული ობიექტების მდგომარეობა.

3.1.2. კონტროლის განხორციელების მიზნით, მსესხებელთან მიავლინოს საკუთარი თანამშრომლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. კონტროლის შედეგად მოპოვებული დოკუმენტები და ინფორმაცია კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება მესამე პირებისათვის გადაცემას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3.1.3. საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და/ან ვალდებულებები, უზრუნველყოფის საშუალებებსა და მათთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირ(ებ)ს,

მსესხებლის დამატებითი შეტყობინებისა და თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია, მესამე პირს გადასცეს საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებთან კავშირში მყოფი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია, რაზეც მსესხებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.2. მსესხებელი ვალდებულია;

3.2.1. შეუქმნას ბანკს, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობა, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანი ოპერაციების ამსახველი საბუთების რეგულარული გაცნობის, მისი შენობა-ნაგებობებში თავისუფალი შესვლის, მსესხებლის სათავსოებისა და მოწყობილობების დათვალიერებისა და შემოწმების ჩათვლით. შემოწმების პერიოდულობა და რაოდენობა განისაზღვრება ბანკის მიერ, მსესხებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

3.2.2. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის, მიმდინარე საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ფინანსური თუ იურიდიული და ბანკის დოკუმენტაცია) გონივრულ ვადაში, თუმცა, არაუგვიანეს ბანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღისა (თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმდებიან).

3.2.3. საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, არ იკისროს ფულადი ვალდებულებები მესამე პირის წინაშე, არ გაასხვისოს და სამართლებრივად არ დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, არ გადასცეს საკუთარი ვალდებულებები შესასრულებლად მესამე პირებს.

3.2.4. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში (არაუგვიანეს მოთხოვნიდან ერთი კალენდარული თვისა) დააზღვიოს საკუთარი სიცოცხლე და შრომისუნარიანობა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ფიზიკური პირია), უზრუნველყოფის საგანი და/ან ბანკის მიერ მოთხოვნილი სხვა რისკები. ამასთან, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული, დაზღვევა უნდა გაფორმდეს კრედიტის ჯამური მოცულობის შესაბამის თანხაზე, ერთადერთ ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს ბანკი და დაზღვევა უნდა მოქმედებდეს ამ ხელშეკრულების ძალაში ყოფნის ვადით.

3.3. ბანკი უფლებამოსილია, საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით და მისთვის მისაღები პირობებით დააზღვიოს მსესხებლის გარდაცვალების გამო საკრედიტო ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკის წინაშე წარმომობილი მსესხებლის ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის განადგურების რისკ(ებ)ი. აღნიშნულთან დაკავშირებით, მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ:

3.3.1. მსესხებლის სახელით იმოქმედოს და გამოვიდეს მსესხებლის მიერ შერჩეულ და მხარეთა შორის შეთანხმებულ (ბანკისთვის მისაღებ) სადაზღვევო კომპანიასთან და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობებში, დადოს ან/და ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას/ხელშეკრულებას, მიმართვას, განცხადებას ან/და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რაც დაკავშირებულია „3.3.“ პუნქტში აღნიშნული რისკების სათანადოდ დაზღვევასთან და ბანკის, როგორც ბენეფიციარის მიერ, შესაბამისი დაზღვევით სარგებლობასთან;

3.3.2. მსესხებლის სახელით განახორციელოს მისი გარდაცვალების გამო საკრედიტო ხელშეკრულების და მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ბანკის წინაშე წარმომობილი მსესხებლის ვალდებულებების შეუსრულებლობის და/ან და/ან შესაბამისი ვალდებულებების უზრუნველყოფის საგან(ებ)ის განადგურების რისკ(ებ)ის დაზღვევა მსესხებლის მიერ შერჩეულ და მხარეთა შორის შეთანხმებულ (ბანკისათვის მისაღებ) სადაზღვევო კომპანიაში, ბანკისთვის მისაღები პირობებითა და პერიოდით;

3.3.3. უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისში ერთადერთ ბენეფიციარად ბანკის დასახელება;

3.3.4. განახორციელოს მზღვეველის ცვლილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება, შეწყვიტოს ნებისმიერ მზღვეველთან არსებული სადაზღვევო ურთიერთობა/ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია ბანკის მომსახურებასთან;

3.3.5. მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს მიიღოს ბანკისგან ინფორმაცია დაზღვევით სარგებლობისა და დაზღვევის პირობების შესახებ.

3.4. მსესხებელი აცნობიერებს, რომ სპეციფიკური პირობების „3.3.“ პუნქტში განსაზღვრული ბანკის უფლებამოსილებების განხორციელება წარმოადგენს ბანკის ბანკის ნებას და არა ვალდებულებას; აღნიშნული უფლების რეალიზება არ არის დამოკიდებული მსესხებლის რაიმე დამატებით თანხმობაზე, ნებართვაზე ან/და მინდობილობაზე და ეს უფლებამოსილება მესამე პირებთან, მათ შორის, სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს.

მუხლი 4. ინფორმაცია მსესხებლის შესახებ

4.1. მხარეები თანხმდებიან, რომ საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მსესხებლის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მსესხებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

4.2. მსესხებლის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი ვალდებულია, გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

4.3. მსესხებელი უფლებას ანიჭებს ბანკს და თანახმაა, რომ:

4.3.1. ბანკმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მსესხებლის (მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის) შესახებ პერსონალური და/ან ბიომეტრიული მონაცემები;

4.3.2. ბანკმა საბანკო მომსახურების გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, დაამუშავოს მსესხებლის (მსესხებლის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის) შესახებ ნებისმიერი კანონიერი გზით (მათ შორის, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან) მოპოვებული პერსონალური მონაცემები, მათ შორის, მოახდინოს მათი გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის (სხვადასხვა საკრედიტო პროდუქტებით სარგებლობის შეთავაზებისთვის);

4.3.3. ბანკმა დაამუშაოს (მათ შორის, გასცეს შესაბამისი პერიოდულობით სადაზღვევო კომპანიაზე) მსესხებლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია (მათ შორის, მსესხებლის გარდაცვალების შემდეგ, შესაბამისი მიზეზების დასადგენად, თუ მსესხებელი ფიზიკური პირია) სადაზღვევო კომპანიებთან ურთიერთობის მიზნით;

4.3.4. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი დაარღვევს ბანკთან დადებული რომელიმე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ან ეს საჭირო იქნება ბანკის საქმიანი რეპუტაციის ან/და კანონიერი ინტერესის დასაცავად, ბანკმა სასამართლოს/არბიტრაჟს/აღსრულების ეროვნულ ბიუროს/კერძო აღმასრულებელს გადასცეს ან/და გამოიყენოს ინფორმაცია მსესხებლის შესახებ ისევე, როგორც მსესხებლის მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი დოკუმენტი;

4.3.5. ბანკმა მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე მიაწოდოს თავდებ(ებ)ს ან/და პირ(ებ)ს, რომელთა ქონებ(ებ)ითაც უზრუნველყოფილია მსესხებლის ვალდებულებ(ებ)ი, ინფორმაცია/დოკუმენტაცია იმ ვალდებულებათა შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფილია კონკრეტულად ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიმღები პირის თავდებობით ან/და ქონებით. ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია/დოკუმენტაცია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება): დავალიანების მოცულობას, ვადას, საკრედიტო პროდუქტის დაფარვის ისტორიას, შესაბამის ხელშეკრულებებს და სხვა. ამ პუნქტში განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება არ განიხილება საბანკო საიდუმლოების გაცემად.

მუხლი 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ განესაზღვრათ და თავიდან აეცილებინათ.

5.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, ხანძარი და სხვა), ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცვლიან, აჩერებენ ან წყვეტენ საკრედიტო ხელშეკრულების დებულებებს, ნებისმიერი ხასიათის საომარი მოქმედებანი და სხვა ამგვარი მოვლენები, რომელთა წარმოშობაზეც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ.

5.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იყოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

5.4. ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს მისი (ფორს მაჟორის) დასრულების შემდეგ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

5.5. თუ ფორს-მაჟორი გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, მისი შეწყვეტის მომენტისათვის არსებული ვალდებულებების მთლიანი შესრულებით.

მუხლი 6. შეტყობინება

6.1. თუ საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მხარეთა შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ხოლო ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც - ელექტრონული ფოსტა, დისტანციური არხ(ებ)ი (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკი, მობაილ-ბანკი), ან სატელეფონო (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) შეტყობინება. შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე.

6.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია შესაბამისი წესით (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

6.2.1. კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში - (ა) თუ შეტყობინება გაგზავნილია ბანკის მიერ - გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი); (ბ) თუ შეტყობინება გაგზავნილია მსესხებლის მიერ - ბანკის კანცელარიაში შეტყობინების დარეგისტრირების მომდევნო საბანკო დღეს;

6.2.2. ბანკის მიერ შეტყობინების ელექტრონული ფოსტის, დისტანციური არხის (მათ შორის, ინტერნეტ-ბანკის, მობაილ ბანკის) ან ტელეფონის (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღის მომდევნო საბანკო დღეს.

6.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება ერთ-ერთი შემდეგი მიზეზის გამო: (ა) შესაბამის მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, (ბ) ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან (გ) ადრესატი თავს არიდებს შეტყობინების მიღებას.

6.4. მსესხებელი ვალდებულია, საკონტაქტო რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში, წერილობით აცნობოს ბანკს სახელი/გვარის (სახელწოდების), საპასპორტო მონაცემების (რეგისტრაციის მონაცემების), მისამართის (იურიდიული/ფაქტიური) და საკონტაქტო მონაცემების (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა და ა.შ) ცვლილებების შესახებ.

6.5. ბანკი პასუხს არ აგებს მსესხებლის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

7.1. საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში წარმოშობილ სადაო საკითხებს ბანკი და კლიენტი გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თუ საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობებით ან ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული სხვა სათანადო შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის საარბიტრაჟო დათქმა კონკრეტულ არბიტრაჟზე, მხარეთა შორის არსებულ სადაო საკითხებს განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ბანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის გადახდის ბრძანება) მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ერთი პრიმა ნაწილის შესაბამისად.

9.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და/ან ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. საკრედიტო ხელშეკრულება და სპეციფიკური პირობები ყველა შესაბამის კლიენტთან მიმართებაში ძალაში შედის მხარეთა მიერ საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობების გაფორმების (ხელმოწერის) მომენტიდან და მოქმედებს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

8.2. საკრედიტო ხელშეკრულების (ან/და მისი რომელიმე პირობის) ვადამდე შეწყვეტა ან/და კლიენტის მიერ პირგასამტეხლოს/საკომისიოს/ჯარიმის გადახდა, არ ათავისუფლებს კლიენტს ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისაგან.

8.3. თუ მხარეთა შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების ძირითადი პირობებით ან/და მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საკრედიტო ხელშეკრულებაში (მათ შორის, ძირითად ან/და სპეციფიკურ პირობებში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია:

8.3.1. მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული ან/და ბანკის დისტანციური მომსახურების არხის მეშვეობით დადებული შეთანხმებით, ან

8.3.2. ბანკის მიერ, ცალმხრედ, რა დროსაც კლიენტს შეტყობინება გაეგზავნება ცვლილებ(ებ)ის ძალაში შესვლამდე მინიმუმ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფორმით. თუ მსესხებელი არ ეთანხმება ცვლილებას, იგი უფლებამოსილია, ცვლილების ძალაში შესვლამდე შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედება ბანკის მიმართ არსებული ვალდებულებების სრულად შესრულებით. სხვა შემთხვევაში, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები ჩაითვლება მსესხებლის მიერ მიღებულად, ხოლო ხელშეკრულება შეცვლილად, შეთავაზებული პირობების შესაბამისად.

8.4. ბანკს არ ევალება მსესხებლის ინფორმირება ხელშეკრულების ისეთ ცვლილებებზე/დამატებებზე, რომელიც ხორციელდება მსესხებლის სასარგებლოდ და უფლება აქვს, ძალაში შეიყვანოს ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) და/ან ბანკის სერვისცენტრებში შესაბამისი ინფორმაციის განთავსებისთანავე.

8.5. ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული საკრედიტო ხელშეკრულებით, რეგულირდება გენერალური ხელშეკრულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.6. ბანკის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ.2), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე (www.basisbank.ge) და გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა.